ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23

ტელ: 25-94-00, ფაქსი: 25-93-13

N 05/4708
14/06/2019

4708-05-2-201906141635

www.FactChek.ge-ს რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს
ელ-ფოსტა: info@factchek.ge

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა თქვენი მიმდინარე წლის 07 ივნისის კორესპოდენცია, რომლითაც მოითხოვთ მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის 64 სოფლიდან, 31 (48,4 %) სრულად არის გაზიფიცირებული, 14 სოფელში ამ პერიოდისათვის (21,9 %) გაზიფიცირებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საპროექტო-დოკუმენტაციის შემუშავება შესაბამისი კომპანიის მიერ, ხოლო დარჩენილ 19 სოფელში შემსრულებელი კომპანია აწარმოებს წინასაპროექტო კვლევას. ხოლო რაც შეეხება დაფინანსებას, ვინაიდან საპროექტო სამუშაოები ხორციელდება შ.პ.ს. „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ დაკვეთით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია არ ფლობს ინფორმაციას ზემოხსენებული სამუშაოების ღირებულებასთან დაკავშირებით. თუმცა, ხელვაჩაურის მერია პროცესში ჩართულია და თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს მიმდინარე პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა აქტივობებს.

დამატებით გაცნობებთ, რომ 2019 წელს მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ახორციელებს სოციალურ პროგრამას, რომელიც განკუთვნილია სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. პროგრამის ფარგლებში ბუნებრივი აირის დაერთების საფასურის უზრუნველყოფის მიზნით, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს მუნიციპალიტეტი გადასცემს 400 ლარიან ვაუჩერს. პროგრამის ბიუჯეტი მიმდინარე წელს შეადგენს 30 000 ლარს.

პატივისცემით,

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა